# ხელშეკრულება №1/12

თბილისი

24.01.2012წ

ერთის მხრივ შპს აუტომანია მისი ხელმძღვანელის ზაზა ბერაძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ სსიპ საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ქეთევან ბოჭორიშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი " ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მიმწოდებელი" მიაწვდის "შემსყიდველს" გაუწევს მომსახურებას ჰიუნდაის მარკის ავტომანქანაზე :

1.2. შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, "მიმწოდებლის" ანგარიშზე ჩარიცხული თანხის პროპორციულად.

1.3. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 4291300 (ზეთის, ჰაერის და ბენზინის ფილტრები) ზეთის ფილტრი – 45 ლარი, 092111000 (ძრავის ზეთები) 5 ლიტრი – 140 ლარი, 1 ლიტრის ფასი 28 ლარი;

1.4. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის ს ქვეპუნქტი.

## 2. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

2.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:

2.1.1. გადაუხადოს "მიმწოდებელს" საქონლის და მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

2.2 " მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.2.1 "შემსყიდველის" გადასცეს ინვოისი და ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურა შესრულებულ მომსახურებაზე.

## 3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ფორმით "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. "შემსყიდველს " უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს " მომწოდებელთან" ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი მიერ შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება განისაზღვრება 185 (ას ოთხმოცდა ხუთი) ლარით.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და მოქმედებს 2012 წლის 28 თებერვლამდე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

6.2. მხარეები ვალდებულები არიან დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს აღნიშნული გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში , მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

8.2 მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკებების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში , სადაო საკითხები გადაწყდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზეპლარად, ერთი პირი გადაეცემა " მომწოდებელს", ხოლო მეორე "შემსყიდველს". ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

“მიმწოდებელი”

შპს აუტომანია

თბილისი, ძ. ზუბალაშვილების №31

ს/კ 406033769

ს.ს. საქართველოს ბანკის ისნის ფილიალი

№ **GE06 BG 0000000885274500**

ხელმძღვანელი:

/ზაზა ბერაძე/

შემსყიდველი
სსიპ საქართელოს ეროვნული

საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი:

/ქეთევან ბოჭორიშვილი/

ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12

ეროვნული ბანკი

ს/კ №204990082

ა/ა №200122900

კოდი 220101222